

Aleko MeladzeE-mail:aleko.meladze@bsu.edu.ge

PhD Students, Batumi Shota Rustaveli state University,

Batumi, Georgia

<https://orcid.org/0000-0002-5781-2371>

CHALLENGES AND PROSPECTS OF HARMONIZATION OF GEORGIAN CUSTOMS LEGISLATION WITH THE EUROPEAN UNION

Abstract: *The article discusses some current issues of the customs system and customs policy of Georgia, which are based on its historical excursion. The paper aims to study such important aspects of the implementation of the customs policy in Georgia, which serve to deal with the modern challenges of protecting the domestic market from foreign goods competition and stimulating exporters, for which the issues of harmonizing the customs system and customs legislation of Georgia with the customs system and customs legislation of the European Union are very important. Since the day of gaining independence, Georgia has recognized the European course of economic development, and accordingly, the main vectors of the formation of the customs system, customs policy and customs legislation were implemented taking into account the experience of the EU countries. The formation of the customs system is a difficult and complex process, for which the development of a perfect legal framework regulating the customs system has a special role. The goal of harmonizing Georgia's customs legislation with the European Union is based on real economic results. The study of the current situation and the analysis of statistical data reveal that the measures implemented for the approximation of the customs legislation with the European Union do not bring results. The reason for saying this is provided by the statistical data on the current state of trade relations between Georgia and the EU countries presented in the paper and the dynamics of the last period, according to which no positive trends in this direction can be observed. The paper offers recommendations and proposals that, along with the changes in legal norms, will contribute to the deepening of trade relations with the European Union and the strengthening of economic ties.*

Keywords: customs system; customs policy; customs legislation; legal norms; Harmonization with the European Union.

JEL classification: K19, O11

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები

ალეკო მელაძე

E-mail: aleko.meladze@bsu.edu.ge

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბათუმი, საქართველო

<https://orcid.org/0000-0002-5781-2371>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია საქართველოს საბაჟო სისტემისა და საბაჟო პოლიტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, რომლებიც ეფუძნება მის ისტორიულ ექსპურსს. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ისეთ მნიშვნელოვანი ასპექტების შესწავლას, რომლებიც შიდა ბაზრის უცხოური საქონლის კონკურენციისაგან დაცვისა და ექსპორტიორების სტიმულირების თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებას ემსახურება, რომლისთვისაც საქართველოს საბაჟო სისტემისა და საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო სისტემასთან და საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან აღიარა ეკონომიკური განვითარების ევროპული კურსი და შესაბამისად, საბაჟო სისტემის, საბაჟო პოლიტიკისა და საბაჟო კანონმდებლობის ფორმირების მთავარი ვექტორებიც ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდა. საბაჟო სისტემის ფორმირება რთული და კომპლექსური პროცესია, რომლისთვისაც საბაჟო სისტემის მარეგულირებელი სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შემუშავებას განსაკუთრებული როლი ენიჭება. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზანი რეალურ ეკონომიკურ შედეგებს ეფუძნება. თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან აპროქსიმაციისთვის განხორციელებულ ღონისძიებებს შედეგები არ მოაქვს. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა ნაშრომში წარმოდგენილი საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების არსებული მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და ბოლო პერიოდის დინამიკა, რომლის მიხედვითაც ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციები არ შეინიშნება. ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც, სამართლებრივი ნორმების ცვლილებების პარალელურად, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას და ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო სისტემა; საბაჟო პოლიტიკა; საბაჟო კანონმდებლობა; სამართლებრივი ნორმები; ევროკავშირთან ჰარმონიზაცია.

JEL კლასიფიკაცია: K19, O11

შესავალი

საბაჟო სისტემა ოდითგანვე წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დამცველს, თუმცა, თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად გაიზარდა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი როლი საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების კუთხით. გლობალურმა კონკურენტულმა გარემომ და მსოფლიო ეკონომიკის სრულმა გამჭვირვალობამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საბაჟო სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემებთან შესაბამისობის საკითხი, რაც თავისთავად ითვალისწინებს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ოპტიმიზაციას საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკითხს მეტად აქტუალურს ხდის თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ევროპული კურსის აუცილებლობა, რასაც პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების კვალდაკვალ, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საჭიროებამდე მივყავართ. საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის შინაარსობრივ და ფუნქციონალურ დაახლოვებას ბუნებრივად მოყვება ერთიანი საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებისათვის საჭირო გარემოს ფორმირება და მსგავსი ხასიათის საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს საბაჟო სისტემის, საბაჟო პოლიტიკისა და საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან შესაბამისობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, რაც მათ შორის ეკონომიკური კავშირების განმტკიცების გრძელვადიანი გარანტი იქნება.

კვლევის **მიზანია** საქართველოში საბაჟო სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან შესაბამისობის დონის დადგენა რეალური შედეგების გათვალისწინებითა და გაანალიზების გზით, არსებული ძირითადი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება. მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი სახის ამოცანები: საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესწავლა; საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციისათვის გადადგმული ნაბიჯების ანალიზი; საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების სტრუქტურული შესწავლა და დინამიკის ანალიზი; ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის გაღრმავების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა საკანონმდებლო ჰარმონიზაციის კრილში; საბაჟო სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციის გზით ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების უზრუნველყოფი ღონისძიებების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ერთობლიობას. თვისებრივი კვლევისას გამოყენებულია წარმოდგენილი მოსაზრებებისა და სამართლებრივი ნორმების ანალიზის, ლოგიკური მიდგომებისა და თეორიული მასალების შესწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. თეორიული მასალების ანალიზის მეთოდის დახმარებით განსაზღვრულია კონკრეტული მოვლენის საკითხზე და მასთან დაკავშირებული კვლევის შედეგებზე შესაძლო ზეგავლენის ხარისხი. ლოგიკური მიდგომების გამოყენებით წარმოდგენილია ორ ან მეტ ფაქტორს შორის ურთიერთზეგავლენის პრინციპები. შედეგების შედარების მეთოდზე დაყრდნობით გამოვლენილია ის ძირითადი

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ კვლევის მიმართულებაზე და გავლენას ახდენენ დასკვნებისა და წინადადებების ფორმულირებაზე. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა და შედარების მეთოდები, რისი საშუალებითაც სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია კვლევის მიზნის შესაბამისად და იგი შედარებულია საკითხთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ პრინციპებთან. რაოდენობრივი მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზიდან. მონაცემების შესწავლის შედეგად დასაბუთებულია წარმოდგენილი მოსაზრებები, და შეთავაზებულია პრობლემის გადაჭრის კონკრეტული მიმართულებები.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა

საბაჟო სფეროსა და საბაჟო საქმის საკითხებზე მუშაობს ქარუმიძე, რომლის სახელმძღვანელო „საბაჟო საქმე“ (ქარუმიძე, 2002), საქართველოში საბაჟო სისტემისა და კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების თეორიასა და პრაქტიკას ეძღვნება და მოციცავს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2002 წლამდე პერიოდს. სახელმძღვანელოში ასევე განხილულია საბაჟო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა, საბაჟო სამართალდარღვევები. ტერაშვილი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკაზე აკეთებს აქცენტს და იგი მას ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიაჩნია. ნაშრომში „საქართველოს საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა“ (ტერაშვილი, 2007) იგი ყურადღებას ამახვილებს საგადასახადო და საბაჟო სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის საკითხებზე. ურიდიასა და რუხიას სახელმძღვანელოში „საბაჟო საქმის თეორია“ (ურიდია და სხვ., 2009) წარმოდგენილია საბაჟო საქმის როგორც დისციპლინისა და როგორც ეკონომიკური კატეგორიის კონცეპტუალური საკითხები, საბაჟო საქმის როლი და ადგილი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში და მისი მნიშვნელობა საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების საკითხებში. იმედაშვილის ნაშრომში „საბაჟო საქმე“ (იმედაშვილი, 2009) განხილულია საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები და თეორიული საფუძვლები. იგი შემუშავებულია საბაჟო საქმის ზოგადი სასწავლო პროგრამის აქტუალური საკითხების განხილვის შესაბამისად.

სტატიაში „არასატარიფო ზომები საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობაში სავაჭრო ნეოპროტექციონიზმის კონტექსტით“ (პაპაჩაშვილი, 2018). პაპაჩაშვილი აღნიშნავს, რომ არასატარიფო ღონისძიებების გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს ქვეყანას შიდა და საერთაშორისო ასპარეზზე. ქარდავა სამართლებრივი აპროქსიმაციის ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და სტატიაში „სამართლებრივი აპროქსიმაციის ასპექტები საქართველოს ნორმატიულ სივრცეში“ (ქარდავა, 2016) ამბობს, რომ საქართველოს ნორმატიულ სივრცეში სამართლებრივი ნორმების ევროკავშირთან ჰარმონიზაცია უმნიშვნელოვანესია.

მელაძე სტატიაში „საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი“ (მელაძე, 2021) გვთავაზობს ექსპორტის სტიმულირებისა და უცხოური საქონლის კონკურენციისაგან ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის ღონისძიებებს. აბუსელიძე სტატიაში „საქართველოს ევროპული ინტეგრაცია და საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა“ (Abuselidze, 2019) ინტეგრაციის პროცესების თანმდევ საფინანსო და ეკონომიკურ შედეგებზე აკეთებს ფოკუსირებას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამართლებრივი ნორმების აპროქსიმაციის საკითხებს. ცინარიძე და ცეცხლაძე სტატიაში „საქართველოს საბაჟო პოლიტი-

კის ძირითადი ვექტორები პოსტკორონავირუსის რეაბილიტაციის პროცესში“ (Tsinaridze and Tsetskhladze, 2020) განიხილავენ საბაჟო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევებს და აქცენტს აკეთებენ საბაჟო პოლიტიკაზე პანდემიის ზემოქმედების მთავარ ასპექტებზე.

ძირითადი ნაწილი

საბაჟო საქმე ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სტიმულირების მნიშვნელოვანი ელემენტია. მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, შესწავლის საგანია საბაჟო პოლიტიკა, საბაჟო სისტემა, საბაჟო კანონმდებლობა, საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა, საბაჟო გადასახდელები და ტარიფები, საბაჟო გაფორმება და საბაჟო კონტროლი. საბაჟო საქმე წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ საბაჟოს ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ურთიერთობებს. საქართველოში, სადაც ფართო მასშტაბებით მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირების მიზნით, საბაჟოს უჭირავს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი რეფორმების სწორად და ეფექტიანად განხორციელებაში. მისი როლი განსაკუთრებით დიდია საგარეო ვაჭრობის ბრუნვის რეგულირების საკითხში, ასევე, საბაჟო გადასახდელების ადმინისტრირებისა და სახელმწიფოს შიდა ბაზრის დაცვის საკითხში.

ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა გონივრულად შემუშავებული საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტია, რომელიც საბაჟო სისტემის ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს და მის ეფექტიანობას განაპირობებს. საბაჟო სისტემა ქვეყნის საფინანსო სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომლის ფუნქციონირების ხარისხი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ექსპორტის სტიმულირებაზე, ადგილობრივი მწარმოებლების ხელშეწყობაზე, უცხოური საქონლის ჭარბი იმპორტირებისას შიდა ბაზრის დაცვის მექანიზმზე და საბოლოოდ, ქვეყნის სავაჭრო ბალანსის ფორმირებაზე.

საბაჟო სისტემა განსაზღვრულ ელემენტთა, ინსტრუმენტთა, სამართლებრივ ნორმათა და ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებული ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას (ურიდია და სხვ., 2009). საბაჟო პოლიტიკა ეკონომიკის სტიმულირების ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც თავისი მექანიზმებით ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს ფორმირებასა და თავისუფალი ბაზრის პრინციპების რეალიზაციას. აუცილებელია პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკისა და ლიბერალური საბაჟო პოლიტიკის დაბალანსება და მათი ცვლილება ქვეყანაში და მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების პარალელურად (Tsinaridze and Tsetskhladze, 2020). საბაჟო პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და საერთაშორისო სამართლის წესებით გათვალისწინებული პრინციპების, ნორმებისა და სტანდარტების გამოყენებით საბაჟო საქმის ორგანიზების სრულყოფას (იმედაშვილი, 2009). საბაჟო პოლიტიკა სახელმწიფოს საგარეო სავაჭრო საქმიანობის ნაწილია, რომელიც არეგულირებს საქონლის ექსპორტ-იმპორტის მოცულობას, სტრუქტურასა და პირობებს. ერთიანი საბაჟო პოლიტიკა ღონისძიებათა ერთობლიობა, სისტემა და სტრატეგიაა (ქარუმიძე, 2002).

საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებები შემადგენელი ნაწილია როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისა, რომელთა შინაარსი და განხორციელების მექანიზმები ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებს ეფუძნება.

ნება. პროტექციონიზმის დაბალი დონე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას უწყობს ხელს, პროტექციონიზმის მაღალი დონე კი ადგილობრივი მწარმოებლების დაცვასა და შესაბამისად, შიდა მწარმოებლობის განვითარებას განაპირობებს (მელაძე, 2021). ამდენად, თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის საბაჟო სისტემამ უნდა უზრუნველყოს საგარეო და საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების მაქსიმალურად დაბალანსება, რათა ხელი შეეწყოს ექსპორტის სტიმულირებას, შიდა ბაზრის დაცვასა და საქართველოს საბაჟო სისტემის ევროკავშირის საბაჟო სისტემასთან ფუნქციონალურ და კონცეპტუალურ დაახლოვებას, რისთვისაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. იგი საბაჟო პოლიტიკის განხორციელებისას ადგენს საბაჟო ორგანოებისა და ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილებებს (ტერაშვილი, 2007). საბაჟო კანონმდებლობა საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების ინსტრუმენტი და საბაჟო სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი მთავარი კომპონენტია, რომელიც თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან თავსებადი უნდა იყოს.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან, საბაჟო კოდექსისაგან და მათ შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან (საბაჟო კოდექსი, 2019). ამასთანავე, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა, მსგავსად საქართველოს ყველა საკანონმდებლო ნორმისა, შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან და მათთან დაკავშირებული მოიცავს მას. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომლითაც რეგულირდება საბაჟო გადასახდელების (იმპორტის გადასახადი, დღგ, აქციზი) განაკვეთები, დაბეგვრის წესები და გადახდის პირობები (საგადასახადო კოდექსი, 2019).

გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკის მთავარ ვექტორს დასავლური კურსი წარმოადგენდა. 1992 წელს ევროკავშირის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. 1996 წელს მოეწერა ხელი და 1999 წელს შევიდა ძალაში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია (ქარდავა, 2016). 1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP1). იგი შემუშავდა 1970-იან წლებში გაეროს ეგიდით ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ფარგლებში. სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის უმთავრესი მიზანია განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერა ექსპორტის განვითარების მიმართულებით. ამ მიმართულებით მხარდაჭერა კი გამოიხატე-

¹ Generalized Scheme of Preferences

ბა განვითარებული ქვეყნების მიერ GSP-ს მონაწილე ქვეყნებისადმი საგარეო ვაჭრობაში შეღავათების მინიჭებით, რაც აადვილებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის განვითარებული ქვეყნების ბაზარზე რეალიზაციის პირობებს და ზრდის მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას (ჯიქია და სხვ., 2017).

1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება #828, რომლის თანახმადაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. კანონმდებლობის დაახლოვებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით ევროკავშირმა იკისრა ვალდებულება ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში. 2000 წელს შეიქმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვების ხელშეწყობა დაევა. კომისიის მიერ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის #613 განკარგულებით. (განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, 2016). საბაჟო სფერო და საბაჟო სამართალი იმთავითვე იმ სფეროებს შორის მოიაზრებოდა, რომელიც საქართველოს პარლამენტის #828 დადგენილებითა და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თანახმად უნდა მოეცვა საკანონმდებლო ჰარმონიზაციას.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ხელი შეუწყო 2006 წლის ნოემბერში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის მიღებამ, რომლითაც გამოიკვეთა თანამშრომლობის ახალი პრიორიტეტები, მათ შორის საბაჟო სფეროში. 2008 წელს საქართველოს საბაჟო სფეროში რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის მექანიზმების შემოღებით საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას.

ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2007 წლის იანვრიდან ამოქმედდა და რომელმაც ჩაანაცვლა 1997 წელს მიღებული საქართველოში პირველი საბაჟო კოდექსი, ძირითად ნაწილში შეესაბამებოდა ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას. 2011 წელს საბაჟო კოდექსი გაუქმდა და შეუერთდა საგადასახადო კოდექსს, კონკრეტული საბაჟო პროცედურების განხორციელების რეგულირებისთვის კი მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #290, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძანება #290, 2012), რომელიც შეიცვალა 2019 წელს და დამტკიცდა დანართებთან ერთად (ბრძანება #257, 2019). დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან, რომელიც უფრო ახლოსაა ევროკავშირის სტანდარტებთან, ვიდრე მისი წინამორბედები.

დღეისათვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთვაჭრობაში გამოყენებულ სა-

ვაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებთან ერთად, ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფართო ინსტიტუციურ ჩარჩოს განსაზღვრავს (პაპაჩაშვილი, 2018). ავტორი კვლევაში საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საფინანსო-ეკონომიკურ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების აპროქსიმაციის პროცესის საფინანსო-ეკონომიკურ შედეგებს მიიჩნევს (Abuselidze, 2019). საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია 2014 წელს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (DCFTA). ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება უზრუნველყოფს ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს რეალურ ეკონომიკური ინტეგრაციას (ასოცირების შეთანხმება, 2014). DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საკანონმდებლო დაახლოვების შედეგად შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომლებიც ძირითად მოიცავენ პროდუქციის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად.


DCFTA-სთან დაკავშირებული საქონლით ვაჭრობის ძირითადი საკითხებია: შეთანხმების მიხედვით არცერთ მხარეს არ აქვს უფლება დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა მსგავსი გადასახადი საქონლის ექსპორტზე; შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ევროკავშირში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა; ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნიორი - კვოტის ფარგლებში) სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე; საქართველოდან ევროკავშირში იმპორტირებული 28 სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“, რაც გულისხმობს პროდუქტის ფასის მინიმალური ზღვარის დადგენას; საქონლის წარმოშობის წესები, რომლის მიხედვითაც საქონელმა უნდა დააკმაყოფილოს წარმოშობის კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს როგორც საქონლის დამუშავების აუცილებელ პირობებს, ასევე საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი მასალის ზღვრულ რაოდენობას; ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან; სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები (სურსათის უვნებლობა), რომლებიც გულისხმობს სანიტარიულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობას; საბაჟო ადმინისტრირება და ვაჭრობის ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირის რეგულაციებთან; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა; ვაჭრობა და მდგრადი განვითარება და სხვ. (თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, 2023).

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციისა და საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური დაახლოვების მთავარ მიზანს ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს. აღნიშნული გამოიხატება ადგილობრივი წარმო-

ების მაქსიმალური დაცვითა და ექსპორტიორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება-განვითარება (ვგულისხმობთ საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდას), უპირატესად ექსპორტის ზრდის ხარჯზე.

ქვემოთ წარმოდგენილა „დიაგრამა 1“, სადაც მოცემულია ექსპორტის, იმპორტის, სავაჭრო ბრუნვისა და წლიური სალდოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები 2009-2022 წლები-სათვის.


დიაგრამა 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2009-2022 წწ. მლნ. აშშ. დოლარი.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით (2023ა).

„დიაგრამა 1“-ზე დაკვირვებისას ჩანს, რომ საგარეო ვაჭრობის სალდო მოცემული პერიოდიდან ყოველ წელს უარყოფითია, ამასთან, საგარეო სავაჭრო სალდოს უარყოფითობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს და თუ შევადარებთ საწყის და საბოლოო პერიოდებს, სალდოს უარყოფითობა გაზრდილია 4597 მლნ აშშ დოლარით, რაც ფარდობითი გამოხატულებით 136%-ის ტოლია. საგარეო სავაჭრო ბრუნვის უარყოფითი სალდოს არსებული მდგომარეობა ბუნებრივია იმპორტის მოცულობის ექსპორტის მოცულობაზე ყოველწლიური მეტობის შედეგია, თუმცა საყურადღებოა, რომ აღნიშნული პერიოდის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას თითქმის სამჯერ აღემატება. იმპორტსა და ექსპორტს შორის თანაფარდობა უფრო მეტი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ექსპორტის მოცულობაში

ჩართულია რეექსპორტიც, რომელიც თავისი შინაარსით ექსპორტის ხასიათს არ ატარებს და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგებზე არ მეტყველებს. აღნიშნული პერიოდისათვის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების დინამიკა მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოცემულია „დიაგრამა 2“-ის სახით.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023).

„დიაგრამა 2“ უჩვენებს, რომ იმპორტის მოცულობას თითქმის ყველა წელს ზრდის ტენდენცია ახასიათებს, ყველაზე დიდი კლება აღინიშნება 2020 წელს, როცა კოვიდ პანდემიის გავრცელების უარყოფითი ეკონომიკური შედეგების გამო საერთაშორისო ვაჭრობა მთლიანად შემცირდა. თითქმის ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც, სადაც კლება გარდა აღნიშნულისა (2020 წელი) მხოლოდ 2015 და 2016 წელს აღინიშნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპორტის მოცულობის ზრდის ტემპები არასაკმარისია და მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა, რომელმაც აღნიშნული პერიოდის საწყისი და საბოლოო წლების შედარების მიხედვით 240% შეადგინა, ძირითადად იმპორტის ზრდის ხარჯზეა მიღწეული.

ქვემოთ წარმოდგენილია „ცხრილი 1“ და „ცხრილი 2“, რომელზეც მოცემულია ექსპორტისა და იმპორტის შესახებ მონაცემები 2013-2022 წლებისათვის. აღნიშნული მონაცემები ერთმანეთისაგან განცალკევებულია გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე ევროპის რეგიონიდან ცალკეა გამოყოფილი ევროკავშირი.

ცხრილი 1. იმპორტი გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. 2013-2022 წწ. მლნ. აშშ. დოლარი

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ევროპა	3 565	3 599	3711	3 443	3 580	4 110	3 941	3 347	4 066	5 618
მათ შორის, ევროკავშირი	2 270	2 370	2519	2 215	2 200	2 506	2 407	1 927	2 308	3 060
აზია	3 839	4 479	3578	3 438	3 839	4 400	4 410	3 783	5 006	6 461
ამერიკა	415	450	381	387	482	562	1 036	888	990	1 402
აფრიკა	35	61	56	22	35	47	79	20	34	61
ოკეანეთი	32	4	4	4	3	19	51	16	3	5

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023გ).

„ცხრილი 1“-ის მიხედვით საქართველოში იმპორტირებული საქონლის მიხედვით პირველ ადგილზეა აზიის რეგიონი, რის შემდეგაც მეორე პოზიციაზეა ევროპის რეგიონი, მესამეა ამერიკა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებზე შესაბამისად აფრიკა და ოკეანეთი. ევროპის რეგიონიდან განხორციელებული იმპორტის თითქმის 60% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 40%-ზე ცოტა მეტი კი ევროპის დანარჩენ ქვეყნებზე.


ცხრილი 2. ექსპორტი გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით. 2013-2022 წწ. მლნ. აშშ. დოლარი

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ევროპა	1 050	1 095	932	956	1 284	1 452	1 702	1 541	1 820	1 923
მათ შორის, ევროკავშირი	608	624	645	572	655	731	819	717	717	863
აზია	1 568	1 453	1037	990	1 275	1 685	1 915	1 646	2 143	3 152
ამერიკა	248	287	218	134	143	199	166	115	249	442
აფრიკა	42	25	17	30	33	19	14	35	28	64
ოკეანეთი	1	1	1	1	1	1	1	7	2	2

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023).

„ცხრილი 2“-ის მიხედვით საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის მიხედვით პირველ ადგილზეა აზიის რეგიონი, რის შემდეგაც მეორე პოზიციაზეა ევროპის რეგიონი, მესამეა ამერიკა, ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებზე შესაბამისად აფრიკა და ოკეანეთი. ევროპის რეგიონში ექსპორტირებული საქონლის დაახლოებით 51% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, დანარჩენი 49% კი ევროპის დანარჩენ ქვეყნებზე. მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად ვიგებთ, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების დღეს არსებული მოცემულობა განპირობებულია უფრო მეტად იმპორტის ოპერაციებით, ვიდრე საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ხარჯზე. ევროკავშირთან ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილი მთლიან ექსპორტსა და იმპორტში, 2013-2022 წლების მიხედვით, წარმოდგენილია „დიაგრამა 3“-ის სახით.

დიაგრამა 3. ევროკავშირთან ექსპორტ-იმპორტის პროცენტული წილი მთლიან ექსპორტ-იმპორტთან მიმართებაში, %-ებში. 2013-2022 წწ.




წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023).

„დიაგრამა 3“-ის მიხედვით ექსპორტისა და იმპორტის პროცენტული წილის ცვლილების დინამიკა მთლიან ექსპორტსა და იმპორტთან მიმართებაში არაერთგვაროვანია. 2015 წლამდე იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებული 2022 წლის ჩათვლით როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის წილის დინამიკას კლების ტენდენცია ახასიათებს. ასევე, „დიაგრამა 2“-დან გამომდინარე, 2013-2022 წლის მონაცემების საშუალოს მიხედვით საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 22% ევროკავშირზე მოდის, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 27%-ია. აღნიშნულ პერიოდში ექსპორტისა და იმპორტის მონაცემების საშუალოს მიხედვით საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 24.5% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე. აღნიშნული მაჩვენებლები საქართველოს ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზნით გადადგმული მნიშვნელო-

ვანი ნაბიჯებისა და საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის აუცილებლობის ფონზე არასახარბიელო და არასაკმარისია.

გამომდინარე იქედან, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები, როგორც საქონლის ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში კლების ტენდენციით ხასიათდება, მნიშვნელოვანია ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული იმპორტისა და ექსპორტის ოპერაციების პროცენტული წილის შესახებ მონაცემებზე დაკვირვება და მისი შედარება უფრო ადრეულ პერიოდზე. ამისათვის ქვემოთ „დიაგრამა 4“-ის სახით წარმოდგენილია გეოგრაფიული რეგიონების წილი საქართველოში განხორციელებულ იმპორტში, ხოლო „დიაგრამა 5“-ზე მოცემულია გეოგრაფიული რეგიონების წილი საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ორივე შემთხვევაში ძირითადი გეოგრაფიული რეგიონებიდან ცალკეა გამოყოფილი ევროკავშირის ქვეყნები.


დიაგრამა 4. გეოგრაფიული რეგიონების წილი იმპორტში, 2018-2022 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023).

„დიაგრამა 4“-იდან გამომდინარე 2018-2022 წლების მონაცემების საშუალოს მიხედვით მთლიანი იმპორტირებული საქონლის 48% აზიიდან იმპორტირებულია, 24% ევროკავშირის ქვეყნებიდან, 18% დანარჩენი არაევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, 10% ამერიკიდან, ხოლო აფრიკისა და ოკეანეთის წილი უმნიშვნელოა და 1%-ს ვერ აღწევს. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემები, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების კუთხით, უფრო ნაკლებია ვიდრე ბოლო 10 წლის მონაცემების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის ხვედრითი წილი მთლიან იმპორტში ყოველწლიურად მცირდება.

დიაგრამა 5. გეოგრაფიული რეგიონების წილი ექსპორტში, 2018-2022 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, (2023).

„დიაგრამა 5“-იდან გამომდინარე 2018-2022 წლების მონაცემების საშუალოს მიხედვით მთლიანი ექსპორტირებული საქონლის 52% აზიის ქვეყნებში ექსპორტირებულია, 22% ევროპის დანარჩენ ქვეყნებში, 19% ევროკავშირის ქვეყნებში, 6% ამერიკის რეგიონში, ხოლო აფრიკისა და ოკეანეთის წილი უმნიშვნელოა და 1%-ს ვერ აღწევს. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ბოლო 5 წლის საშუალო მონაცემები, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების კუთხით, მსგავსად იმპორტის მონაცემებისა, უფრო ნაკლებია ვიდრე ბოლო 10 წლის მონაცემების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტში ყოველწლიურად მცირდება.

„დიაგრამა 4“ და „დიაგრამა 5“-ის მონაცემებს თუ შევაჯერებთ, მივიღებთ 2018-2022 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირთან ვაჭრობის პროცენტულ წილს, რომელიც 21.5%-ის ტოლია, რაც უფრო ნაკლებია ვიდრე 2013-2022 წლების საშუალო მაჩვენებელი - 24.5%. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის წილი და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მცირდება ყოველწლიურად მცირდება, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და ინტეგრაციული პროცესების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორია.

ამრიგად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების ანალიზის შედეგად ცხადია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას თითქმის სამჯერ აღემატება. 2009 წლიდან დღემდე ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული საქონლის იმპორტი და ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის მოცულობა

ყოველწლიურად აბსოლიტური მაჩვენებლებით უმნიშვნელოდ იზრდება. ყოველწლიური ზრდის ტემპები უფრო მეტია სხვა რეგიონების, მაგალითად, აზიის ქვეყნებთან ვაჭრობის მიმართულებით, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებთან. უფრო მეტიც, მთლიან საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირთან ვაჭრობის პროცენტული წილი 2015 წლიდან მოყოლებული კლების ტენდენციით ხასიათდება. ბოლო 5 წლის მონაცემების საშუალოს მიხედვით კი ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის წილი მთლიან იმპორტის 24%-ს შეადგენს, ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი კი მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 19%-ს, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთლიანი საგარეო ვაჭრობის მხოლოდ 21.5% ხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებთან. აქვე, საყურადღებოა, რომ 2021-2022 წლების მონაცემებით საექსპორტო ქვეყნების პირველ ათეულში ევროკავშირის წევრი მხოლოდ ერთი ქვეყანა, ბულგარეთია წარმოდგენილი, ხოლო უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების პირველ ათეულში მხოლოდ გერმანია, რუმინეთი და იტალია იმყოფება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს განსაზღვრულ მიზნამდე და რეალურ შედეგებამდე არ ან ვერ მივყავართ. მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ცვლილება და მის ევროკავშირის რეკომენდაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში ეტაპობრივად მოყვანა ბუნებრივია საკმარისად არ მიგვაჩნია. ამ პროცესის პარალელურად აუცილებელია ადგილობრივი მწარმოებლებისა და ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერა.

არსებულ მოცემულობაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებით მიღებული უპირატესობებისა და პრივილეგიების შესახებ ბიზნესის სათანადო ინფორმირება. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ევროპის საზღვრებთან კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ზონის შექმნა. გამომდინარე იქედან, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში გეოგრაფიულად მოიაზრება მისი სამხრეთით (ჩრდილოეთ აფრიკა) და აღმოსავლეთით (სამხრეთ კავკასია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები) მდებარე ქვეყნები და მათ შორის საქართველო, მის საფუძველზე ბიზნეს სექტორის ექსპორტზე ორიენტირებული საქონლის წარმოების სტიმულირება უმნიშვნელოვანესია. ამისათვის კერძო სექტორს ესაჭიროება მეტი ინფორმირებულობა, მარკეტინგული ღონისძიებებისა და საკონსულტაციო სერვისების სახელმწიფო უზრუნველყოფა, მის ხელთ არსებული ბერკეტებისა და რესურსების გამოყენებით.

ევროკავშირის ბაზარზე შესვლისათვის საჭირო ნორმებისა და სტანდარტების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცესებში ადგილობრივი მწარმოებლების სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის საბაჟო სფეროს სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციის ეფექტიანობას. ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე საქონლის ექსპორტის მოცულობის სიმცირე გარკვეულწილად უკავშირდება ევროკავშირის რთულ სტანდარტიზაციის სისტემას, რაშიც სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია.

ექსპორტიორების ხელშეწყობის ფარგლებში საჭიროდ მიგვაჩნია ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო სუბსიდირება, განსაზღვრული დოზით. სახელმწიფო სუბსიდირება მართალია გარკვეულ რისკებს უკავშირდება, სახელმწიფო ხარჯების ზრდისა და მიმღებ ქვეყანაში სპეციალური გადასახადების (საკომპენსაციო გადასახადი) დაწესების თვალსაზრისით, თუმცა ადგილობრივი მწარმოებლურობის დონის

გათვალისწინებით, ამ ღონისძიების გატარება შეუქცევადი პროცესია. სახელმწიფო ხარჯების ზრდას ექსპორტის ზრდის დადებითი ეკონომიკური ეფექტები დააბალანსებს, ხოლო ექსპორტის ქვეყანაში საკომპენსაციო გადასახადის დაწესების ეკონომიკური შედეგები ამ მიმართულების ერთადერთი ნაკლოვანებაა.

საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება და საბაჟო სისტემების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გაერთიანება საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საფუძველია. საქართველოს საბაჟო სისტემის ევროკავშირის ერთიან საბაჟო სისტემასთან ტექნიკურ-პროგრამულ ინტეგრაციის შემთხვევაში საბაჟო ფორმალობების განხორციელების დროის შემცირება დადებითად იმოქმედებს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე შესაბამისად გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს და მის მნიშვნელობას საერთაშორისო მასშტაბით.

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების სახელმწიფოს მხრიდან უსასყიდლოდ გატარება მნიშვნელოვნად შეამცირებს ევროკავშირში საექსპორტოდ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, რაც ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შეტანის პროცედურებს გააადვილებს. ამასთან, სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის პროცედურების სახელმწიფო უზრუნველყოფა ექსპორტიორებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემი იქნება და უმთავრეს გამოწვევებთან გასამკლავებლად აუცილებელი ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური სირთულეების დაძლევის საშუალებებად მოგვევლინება.

ექსპორტსა და იმპორტს შორის თანაფარდობის მაჩვენებელსა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების ხარისხს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებლობა განსაზღვრავს ქვეყნის იმპორტდამოკიდებულების ხარისხს. რეალური სექტორის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური საქმიანობის დაცვა უცხოური საქონლის კონკურენციისაგან. სახელმწიფოს კი საბაჟო პოლიტიკის სახით გააჩნია რეგულირების მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მიაღწიოს აღნიშნულ მიზანს (მელაძე, 2021). ადგილობრივი ბაზრის დაცვის მექანიზმის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების სტიმულირებას, არსებულ მოცემულობაში უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია. სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის განხორციელების მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს საბაჟო სატარიფო ღონისძიებები, რამაც მნიშვნელოვნად შეიძლება უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვა და ეკონომიკის განვითარების სტიმულირება, გადასახადების რაოდენობების, სახეებისა და განაკვეთების მანიპულირების გზით.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან ჰარმონიზაციის პარალელურად აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის მოცულობას საგრძნობლად გაზრდის, ასევე გაიზრდება საქართველოში იმპორტირებული საქონლის მთლიან მოცულობაში ევროკავშირში წარმოშობილი პროდუქციის ხვედრითი წილი.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული მასალების შეწავლისა და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციისთვის გადადგმული ნაბიჯები და განხორციელებული ღონისძი-

ებები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ვერ უზრუნველყოფს. საგარეო ვაჭრობის შესახებ ნაშრომში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების შესწავლის შედეგად ნათელია, რომ საგარეო-სავაჭრო ბრუნვის დინამიკასა და სამართლებრივი ნორმების ცვლილებას შორის შინაარსობრივი კავშირები და ფუნქციური დამოკიდებულებები არ არსებობს. აღნიშნულის მთავარ მიზეზად სახელმწიფოს არამიზანმიმართულ საბაჟო პოლიტიკასა და მისი შემუშავებისა და რეალიზაციის არათანმიმდევრულობას მივიჩნევთ, რისთვისაც ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები. ნაშრომის ძირითადი დებულებები, კონცეპტუალური საფუძვლები და მეთოდოლოგიური მიდგომები ქმნის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას, რომლის გამოყენება სასარგებლო იქნება დარგის მკვლევარებისა და მეცნიერთათვის. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება კვლევის შედეგების, შეთავაზებული რეკომენდაციებისა და წარმოდგენილი წინადადებების გამოყენებაში, სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

REFERENCES:

1. Center for Development and Democracy (CDD). (2016). Georgia and the European Union in the footsteps of development and reforms. Tbilisi;
2. Imedashvili, G. (2009). Customs case. Tbilisi: "Bartoni";
3. Meladze, A. (2021). Some aspects of improving the customs policy of Georgia. Kutaisi: „economic profile“, Volume 16;
4. Papachashvili, N. (2018). Non-tariff measures in Georgia-EU trade in the context of trade neo-protectionism. Tbilisi: "Economics and business";
5. International Agreement of Georgia. (2014). Association Agreement between Georgia and the European Union and the European Atomic Energy Union and their member states;
6. Customs Code of Georgia. (2019). Tbilisi;
7. Tax Code of Georgia. (2019). Tbilisi;
8. Order #290 of the Minister of Finance of Georgia. (2012). „Regarding the approval of the instruction on the movement and clearance of goods in the customs territory of Georgia“;
9. Order #257 of the Minister of Finance of Georgia. (2019). „Regarding the approval of the instruction on the movement and clearance of goods in the customs territory of Georgia“;
10. Terashvili, N. (2007). Tax and customs policy of Georgia. Tbilisi;
11. Uridia, G., Rukhaia, F. (2009). Theory of the customs case. Tbilisi;
12. Qardava, E. (2016). Aspects of legal approximation in the normative space of Georgia. Tbilisi;
13. Qarumidze, V. (2013). Customs case. Tbilisi;
14. Jiqia, M., Nadirashvili, T., Adamia, O., Burjanadze, M., Gegechkori, R., Mirzashvili N., Saluqvadze, A., Gachava, M. (2017). Obligations assumed by Georgia under the agreement on association with the European Union and public readiness. Caucasus International University. International Law Research Institute. Tbilisi: publishing house „Universali“;
15. Abuselidze, G. (2019). European integration of Georgia and financial-economic condition: Achievements and Challenges. European Journal of Sustainable Development. 8(1), 53-68;
16. Tsinaridze, R., Tsetskhladze, L. (2020). The Major Vectors of the Georgia Customs Policy in the post Coronavirus Rehabilitation Process. ECOFORUM. Volume 9, Issue 3(23);

-
17. National Statistical Service of Georgia. (2023). Foreign trade of Georgia 2009-2022. <https://www.geostat.ge/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba> Searched 15.11.2023;
 18. Free trade with the European Union. (2023). Agreement. <https://dcfta.gov.ge/ge/agreement> Searched 11.11.2023.